საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3481
15/07/2022

3481-21-2-202207150949

შპს „ზღვის პროდუქტებს“
ელ. ფოსტა: natiatsulaia5@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2473 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ზღვის პროდუქტების“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია მხოლოდ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება), თუმცა, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ნავთობპროდუქტების საცავი. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის თარიღი და შესაბამისად, სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების საცავის (5 $მ^3$) სასუნთქი სარქველის პარამეტრების (სიმაღლე და დიამეტრი) და შევსების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი;
- სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს საბოლოო პროდუქციის დასაწყობების ადგილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 2400 საათს, ხოლო წარმადობა - 240 $მ^3$/სთ-ს. ამასთან, მე-2 თავში აღნიშნულია, რომ საწარმოში ხდება 480 000 $მ^3$ ნედლეულის გადამუშავება, საიდანაც 144 000 $მ^3$ არის ქვიშა, ხოლო 336 000 $მ^3$ - წყალი. შესაბამისად, საწარმოს

სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს წლიურად გადასამუშავებელი ნედლეულის მოცულობა;

- 6.2 თავში მითითებულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.). ვინაიდან, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მხოლოდ ქვიშის გაცრა, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს განმარტებას;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საწარმოს შემოგარენში, მის სიახლოვეს, არ არსებობს ისეთი საწარმოო ობიექტები, რომლებიც კუმულაციურ ზემოქმედებას გამოიწვევენ“. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 350 მეტრში, მდებარეობს შპს „ეგრისის“ საკუთრებაში არსებული საწარმო (ს/კ: 45.08.25.162). დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საწარმოს ფუნქციური დანიშნულება და შესაბამისად, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს მდ. რიონში ჩაშვებული წყლის მოცულობა;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სალექარებში დაგროვილი ლამის შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საცერში გაცრისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობის არასახიფათო ნარჩენების (ქვა, ხის ნაფოტები) წარმოქმნა, საშუალოდ წელიწადში 8-10 ტონის ოდენობით“. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ნარჩენების რაოდენობის და მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 1300 მეტრის დაშორებით. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს განთავსების ადგილიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 260 მეტრში, მდებარეობს სახელმწიფო ტყე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო